ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4024847

ნომერი: AR1598895

თარიღი : 04.05.2018

გაცემის თარიღი : 20.06.2018

გაცნობის თარიღი : 20.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 74/11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ძიძიკაშვილი პ/ნ 12001092336
- თბილისი ლილოს დას. I მ/რ კორ. 15 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1598895 განცხადებაზე №3962520, №3996181 და №4005368 გადაწყვეტილებებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული და ასევე ახალი დოკუმენტაციით გამოვლინდა ახალი გარემოებაც, კერძოდ:

1. წარმოდგენილი ფოტომონტაჟი არ შეესაბამება ესკიზურ გეგმას, კერძოდ ფოტომონტაჟზე არ არის დატანილი საჩრდილობლის შიდა სივრცეში (მალის შესამცირებლად) დატანილი სვეტები, მოიყვანეთ გეგმასთან შესაბამისობაში.

2. იმიათვის, რომ განვსაზღვროთ საყვავილეებისა და სარეკლამო აბრის განთავსება ხდება თუ არა ზედა სართულზე, საჭიროა ესკიზურ ჭრილზე გამოყოთ სარეკონსტრუქციო ნაწილი კონტურის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ზედა ფართზე ხდება საყვავილეებისა და სარეკლამო აბრის განთავსება, მაშინ გაითვალისწინეთ: თქვენს მიერ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა/ნაგებობის მესაკუთრის თანხმობა
ზედა სართულზე საყვავილეებისა და სარეკლამო აბრის განთავსებაზე, ამასთან საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება მოსარგებლეებიც. შესაბამისად განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში ზედა ფართის მოსარგებლე ვინ არის და წარმოადგინეთ მისი თანხმობა საყვავილეებისა და სარეკლამო აბრის განთავსებაზე.

გაითვალისწინეთ ამ ჯერზე სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.